ოქმი:**ო63.6322018001**
თარიღი:**18/01/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 1

ქ. სამტრედია. 13 იანვარი 2022 წელი.

2022 წლის 13 იანვარს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი (ონლაინ ჩართვა), დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, გივი ჯულაყიძე (ონლაინ ჩართვა), კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი (ონლაინ ჩართვა), აკაკი მინაშვილი (ონლაინ ჩართვა), ავთანდილ თადუმაძე, ქეთევან კუტალაძე, მარიამ ბარბაქაძე (ონლაინ ჩართვა), ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურის შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ადგილობრივი მოსაკრებლების დარგში, დავით შენგელია.
2. ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი, ლაშა ორმოცაძე.
3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სერგო კოპალეიშვილი.
4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი, გიორგი ხაჟალია.
5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ნორა იანიკოვი.
6. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.
7. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი, ნათია იობაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მიულოცა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას შობა-ახალი წელი და აღნიშნა, ,,დარწმუნებული ვარ, რომ ამ დარბაზში საკმაოდ კარგი საკითხები იქნება გადაჭრილი, რა თქმა უნდა თქვენთან ერთად. გილოცავთ, ქვეყნის კეთილდღეობის, ოჯახური ბედნიერების, წინსვლის, წარმატების და ყოველივე კარგის წელი ყოფილიყოს ყველა თქვენგანისათვის და სრულიად საქართველოსთვის. დიდი მადლობა თანადგომისათვის. დღეს ჩვენთან სტუმრად იმყოფებიან დღევანდელი თემის ავტორები, რომლებიც საკმაოდ დიდხანს, აზრიანად და პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობდნენ წარმოდგენილ პროექტზე. მინდა ხაზგასმით ავღნიშნო, რომ სწორედ ამით იწყება ჩვენს მუნიციპალიტეტში აღმშენებლობის პერიოდი. რა თქმა უნდა ეტაპობრივად მიმდინარეობდა ეს პროცესი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროექტების არსებობა და კიდევ მრავალი პროექტის არსებობა, ყოველთვის დადებითის მაჩვენებელი იქნება.

გაცნობებთ, რომ ჩვენს სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთვნენ საკრებულოს წევრები: ზაზა ადეიშვილი, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, გივი ჯულაყიძე და მარიამ ბარბაქაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (ს.რ.ი.გ.პ.) ფარგლებში, 2022 წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

2. **სხვადასხვა.**

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (31 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (ს.რ.ი.გ.პ.) ფარგლებში, 2022 წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ’’.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. საკითხი შესწავლილია სიღრმისეულად. ეს არის ევროკავშირის მიერ გამოცხადებული საგრანტე პროგრამა, სადაც ყველა რეგიონს აქვს წარდგენილი თავისი პროექტები, კონკურსის შემდეგ გადაწყდება, რომელი მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი პროექტი გაიმარჯვებს. ამჟამად საპროექტო გუნდს წარმოდგენილი აქვს სამი საპროექტო იდეა. დაახლოებით 4 მილიონამდე ლარის ღირებულების პროექტებია. ჩვენ იმედი გვაქვს სამივე იდეა დაფინანსდება. ყველაზე მთავარი არის ის, რომ ჩვენ წინა წლებში ვართ პროექტებს შორის გამარჯვებული, რომლითაც გაკეთდა სკვერი, რკინიგზის სადგურის გასწვრივ და მეორე არის ნაბაკევის თემში სკვერის რეაბილიტაცია-მოწყობა. შარშან კონკურსში მონაწილეობას ღებულობდა 12 მუნიციპალიტეტი, გაიმარჯვა ოთხმა მუნიციპალიტეტმა. აქედან ერთ-ერთი ჩვენი მუნიციპალიტეტია. ჩვენ გვაქვს კარგი გამოცდილება, კარგი სტარტი და იმედს ვიტოვებ, რომ ამ სამი პროექტიდან ორში მაინც გავიმარჯვებთ. ამიტომ საჭიროა საკრებულომ მოიწონოს ეს იდეები და დარწმუნებული ვარ მხარს დაუჭერთ ასეთ საქმეებს.

მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (ს.რ.ი.გ.პ.) ფარგლებში, 2022 წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეები (დანართი №1).

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (ს.რ.ი.გ.პ.) ფარგლებში, 2022 წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეები.

№	საპროექტო იდეის სახელწოდება	პროექტის სავარაუდო ღირებულება		
		ჯამური ბიუჯეტი	მოთხოვნილი გრანტი	თანადაფინანსება (ადგილობრივი ბიუჯეტი0
1	მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაცია ენერგოეფექტური ტექნოლოგიით.	1 300 000	1 287 000	13 000
2	ხ.დ.კ.-ს დასახლებაში სანიაღვრე არხების, ტროტუარების, მოსაცდელების და საერთო სარგებლობის სივრცეების კერძო სარგებლობის სივრცეებთან გამყოფი ზოლების (ღობეების) მოწყობა.	2 000 000	1 980 000	20 000
3	კოსტავას ქუჩაზე მდებარე სკვერის და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.	700 000	693 000	7000

აზრი გამოთქვეს: ილია მჟავიამ, ბადრი შენგელიამ, კობა ძიძიგურმა, ავთანდილ თადუმაძემ, ლიზა კრავეიშვილმა, ვალერიანე ფოცხვერიამ.

ილია მჟავია - მინდა საკრებულო ჩავაყენო საქმის კურსში, რომ ტოლებში არის მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი (21 და 24 ბინიანი), რომელშიც ჩამოდის წყალი. პროექტი გამზადებულია, მოსახლეობას პროცენტულად გადახდილი აქვს თანხები, მაგრამ დღემდე მოუგვარებელია პრობლემა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ.

ბადრი შენგელია - საკრებულოს მრავალი პროექტი განუხილავს, მოუწონებია და მხარდაჭერა გამოუხატავს, მაგრამ რატომღაც ამ ეტაპზე, ყურადღება ექცევა ქალაქის პერიფერიულ ზონაში ბინების მოწესრიგებას და ყურადღების გარეშე რჩება ქალაქის ცენტრში არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადები და სხვა პრობლემატური საკითხები. თანხები უნდა გადანაწილდეს ქალაქის ცენტრისთვისაც.

დავით შენგელიამ უპასუხა - ეს გახლავთ კონკრეტული პროექტის ფარგლებში

განსახორიცელებელი პროექტი, რომელსაც ითვალისწინებს რეგენერაციის გეგმა. ქალაქი დაყოფილია 5 ნაწილად. არჩეული გვაქვს ყველაზე სუსტად განვითარებული უბანი, ხ.დ.კ.-ს დასახლება, ყოფილი ინდუსტრიული ზონა. ზოგადად პროექტი დგება პრიორიტეტების შესაბამისად. ამ კონკრეტული პროექტის პრიორიტეტი არის ურბანული განვითარება. არის სხვა პრიორიტეტებიც, მაგრამ ნებისმიერი პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნას. თუ პროექტის შედგენის დროს არ იქნება გათვალისწინებული კონკრეტული პრიორიტეტი, ეს პროექტი უბრალოდ კონკურსში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

კობა ძიძიური - მაინტერესებს რა იგულისხმება ,,მრავალბინიანი კორპუსების ენერგოეფექტური ტექნოლოგიით რეაბილიტაციაში''?

ლაშა ორმოცაძემ უპასუხა, რომ ენერგოეფექტური ტექნოლოგია გულისხმობს სპეციალური მასალით ფანჯრების, სადარბაზოს შემინვას, კარებების, ფასადების და განათების მოწყობას სადარბაზოებში. მოსახლეობას უნდა ჰქონდეს ელექტრო-ენერგიის ნაკლები დანახარჯი.

ლიზა კრავეიშვილი - არის რაღაც მოთხოვნები, რომელსაც ვერ წაუხვალ. აქ არის გრანტი, გვეძლევა საჩუქრად, რომელიც უნდა გამოვიყენოთ რაციონალურად. მე მადლობა მინდა გადავუხადო ამ ახალგაზრდებს. მივესალმები ამ წამოწყებას და კიდევ მრავალ პროექტებზე ემუშაოთ და გაემარჯვოთ.

ავთანდილ თადუმაძე - რაც შეეხება პროექტს მისაღებია. ეს არის ჩვენი ქალაქის შემოსასვლელი და სტუმარს თუ მასპინძელს მოწესრიგებული იერსახე უნდა დახვდეს. კარგია როცა ფასადები, სადარბაზოები კეთდება, მაგრამ ხ.დ.კ.-ს დასახლების N1 პრობლემა არის საკანალიზაციო სისტემის მოუწყობლობა. იქნება ამ პროგრამაში გათვალისწინებული იქნას, ან წინასწარ მოგვარდეს ეს საკითხი. შიგა კომუნიკაციები თუ არ მოგვარდა აზრი არ ექნება ფასადების გაკეთებას.

ვალერიანე ფოცხვერია - აქ სწორად აღინიშნა, რომ ეს თანხა არის გრანტი, გვთავაზობენ გარკვეულ პირობებს. შექმნილია სამუშაო ჯგუფი ახალგაზრდების, რომლებმაც უდიდესი შრომა ჩადეს ამ საქმეში. ასევე აღინიშნა, რომ რკინიგზის გასწვრივ არსებული სკვერიც მსგავსი პროექტითა და გრანტით გაკეთდა, თუმცა ისიც არ არის დამთავრებული, ვინაიდან გამოყოფილი იყო კონკრეტული რაოდენობის თანხა და ამ თანხაში უნდა ჩამჯარიყავით. დაახლოებით ასე არის ეხლაც. საუბარია 5 მილიონ ლარზე. სასურველია ყველა პროექტმა გაიმარჯვოს, მაგრამ კარგი იქნება ორი მათგანი მაინც თუ დაფინანსდება. დაგეთანხმებით, რომ კორპუსების საკანალიზაციო სისტემა მოუწესრიგებელია და რთული მდგომარეობაა, თუმცა ჩვენი ადგილობრივი თანხებით ამ პრობლემის მოგვარება ფაქტიურად შეუძლებელია. დიდი ხანია ევროკავშირთან გვაქვს მოლაპარაკება. არის ორგანიზაცია, რომელიც ჩამოსული იყო და მთლიანად სამტრედიის მასშტაბით, წყალანირების სისტემის, კანალიზაციის სისტემის და წყლის მომარაგების სისტემის პრობლემის მოგვარების პოროგრამა შექმნა, რომელიც დაახლოებით მხოლოდ ქალაქის მასშტაბით, 150 მილიონი ევროს ფარგლებში დაჯდება. ეს არის გლობალური საკითხი, რომელიც პანდემიამ დროებით შეაჩერა, მაგრამ დღესაც მიმდინარეობს განხილვა. შეიძლება დღეს წარმოდგენილმა პროექტებმა ვერ გაიმარჯვოს, სხვა მუნიციპალიტეტმა შესთავაზოს უკეთესი ვარიანტი (ან მუნიციპალიტეტი იყოს უფრო მიმზიდველი პროექტის ავტორებისათვის), მაგრამ ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი გამოცდილება და შედეგი. ჩვენ რომ არ დავთანხმებულიყავით მათ მოთხოვნებს დარწმუნებული ვარ პროექტი კონკურსში ვერ მიიღებდა მონაწილეობას. მუნიციპალიტეტში არსებული პროებლემების მოსაგვრებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვადასხვგა ფონდები, რომლის მიმართულებითაც ჩასატარებელია არის დიდი სამუშაო. თხოვნა მექნება, სანამ პროექტი შემოვა განსახილველად, მაგალითად მომავალი წლის

ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები, გთხოვთ, რომ საკრებულოს კომისიაზე განვიხილოთ, რომ საკრებულოს სხდომაზე არ გაჩნდეს სხვადასხვა კითხვები.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (ს.რ.ი.გ.პ.) ფარგლებში, 2022 წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ’’.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი